,,აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული კულტურული ძეგლები''

,,აფხაზეთი''

აფხაზეთი (აფხ. **А□сны** [აფსნ□]) — საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე, ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთით, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, დღეს ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსით, უკავია **8,7** ათ. კვ.კმ. ტერიტორია მდინარეებს ენგურსა და ფსოუს შორის. ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების მიერ **2008** წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდგომ (იხ. საქართველოს კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ), იმართება მარიონეტული დე ფაქტო ხელისუფლების მიერ. მისი დამოუკიდებლობა აღიარა რუსეთმა და სხვადასხვა გარიგებების სანაცვლოდ ნიკარაგუამ, ვენესუელამ და ნაურუმ. ჩრდილოეთით ესაზღვრება რუსეთის ფედერაციას, სამხრეთ-აღმოსავლეთით საოკუპაციო ხაზი გადის სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ.

,,ბზიფის ტაძარი”

ბზიფის ციხის ეკლესია ჯვარ-გუმბათოვანი „ჩაწერილი ჯვრის“ ტიპისაა, სამი შვერ
თარიღდება IX საუკუნის II ნახევრით. მისი კედლები მოპირკეთებულია თლილი ქვი
თავსართებითაა შემკული. ტაძრის აღმოსავლეთით ჩანს კიდევ ერთი, უფრო ძველ

ბზიფის ციხე ორი ნაწილისაგან შედგება. ციხის ზედა ნაწილში მდებარეობდა ტაძარი, ქვედ
გადიოდა ძველი გზა. ციხე კეტავდა ბზიფის ხეობას და გადასასვლელს მდინარეზე.
რომელიც აგებულია კარგად დამუშავებული კირქვის კვადრებით, დატანებული აე
ნახევრად წრიული კოშკები, კონტრფორს

,,დრანდის ღვთის მშობლის მიძინების ტაძარი”

ოფელ დრანდაში მდებარეობს. იგი VI-VII საუკუნეებით თარიღდება. ეკლესია აგურითა და რიყის ქვით ნაგებ ჯვარ-გუმბათოვან ნაგებობას წარმოადგენს, რომელიც გეგმით ახლოს დგას მცხეთის ჯვართან. ტაძრის ხუროთდრანდის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი აფხაზეთში, გულრიფშის მუნიციპალიტეტის მოძღვრულ გადაწყვეტაში შეინიშნება ბიზანტიური და ქართული მხატვრული მისწრაფებების შერწყმა და იგი ქართული კულტურის ერთ-ერთი საინტერესო და საყურადღებ ნიმუშია. დრანდის ტაძარი X-XVII საუკუნეებში საეპისკოპოსო ცენტრს წარმოადგენდა. ეკლეს რამდენჯერმეა გადაკეთებული და გარკვეულწილად დაკარგული აქვს პირვანდელი სახე. 1 წლის 18 მაისს ის ოსმალების საზღვაო დესანტმა დაარბია. 1681 წელს აფხაზების მიერ ოდ სამთავროს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილის დაპყრობის შემდეგ, დრანდის საეპისკოპოსო გაუქ ა ამ დროიდან დრანდის ტაძარი დიდხანს იყო მიტოვებული. 1871 წელს, იმერეთის ეპისკოპოს - გაბრიელ ქიქოძის მონდომებით, ეკლესია აღადგინეს და ღვთისმსახურებაც განახლდა.

დათარიღება

დრანდის ტაძარი რამდენჯერმე არის გადაკეთებული, რამაც მისი შესწავლა გააძნელა. XIX საუკუნეში ცნობილი არ იყო დრანდის ტაძრის აგების დრო და მას რუსი მკვლევარები მიახლოებით VIII-X (პავლინოვი), XI (ტოლსტოი, კონდაკოვი) საუკუნეებით ათარიღებდნენ. გ. ჩუბინაშვილმა ტაძრის ხუროთმოძღვრული ანალიზის შედეგად იგი მიიჩნია მცხეთის ჯვრის (VI ს.) ვარიაციად, მასთან დაკავშირებულ, მაგრამ შესამჩნევად დამოუკიდებელ ნაგებობად, რომელშიც ქართულთან ბიზანტიური ხასიათის მხატვრული ელემენტებია შერწყმული. ეს შეხედულება გაიზიარა ლ. რჩეულიშვილმა. ე. ნოიბაუერმა ის IX საუკუნის ძეგლად მიიჩნია. ხელოვნებათმცოდნე რუსუდან მეფისაშვილი ძეგლს VIII საუკუნის მიწურულით, „აფხაზთა“ სამეფოს ჩამოყალიბების პერიოდით ათარიღებს. მისი მოსაზრებით, ტაძარი აგებულია მოწვეული ხელოსნის მიერ. რაც შეეხება ძეგლის ხუროთმოძღვარს, ის ადგილობრივია, რადგან თუ ძეგლში ერთი მხრივ აშკარაა ბიზანტიური საფუძველი, მეორე მხრივ ჩანს, რომ ხუროთმოძღვარი სისხლხორცეულად არის ჩართული იმ შემოქმედებით პროცესებში, რომელიც გარდამავალი პერიოდის (VIII-IX სს.) საქართველოს ძეგლებს ახასიათებს. მ. ხოტელაშვილისა და ა. იაკობსონის აზრით, ტაძრის დათარიღებისათვის მნიშვნელოვანია მისი თანმხლები მასალა - კერამიკა, რომელიც V-VI საუკუნეებით თარიღდება.

ფოქვეშის ეკლესია

დრანდის ტაძარი რამდენჯერმე არის გადაკეთებული, რამაც მისი შესწავლა გააძნელა. XIX საუკუნეში ცნობილი არ იყო დრანდის ტაძრის აგების დრო და მას რუსი მკვლევარები მიახლოებით VIII-X (პავლინოვი), XI (ტოლსტოი, კონდაკოვი) საუკუნეებით ათარიღებდნენ. გ. ჩუბინაშვილმა ტაძრის ხუროთმოძღვრული ანალიზის შედეგად იგი მიიჩნია მცხეთის ჯვრის (VI ს.) ვარიაციად, მასთან დაკავშირებულ, მაგრამ შესამჩნევად დამოუკიდებელ ნაგებობად, რომელშიც ქართულთან ბიზანტიური ხასიათის მხატვრული ელემენტებია შერწყმული. ეს შეხედულება გაიზიარა ლ. რჩეულიშვილმა. ე. ნოიბაუერმა ის IX საუკუნის ძეგლად მიიჩნია. ხელოვნებათმცოდნე რუსუდან მეფისაშვილი ძეგლს VIII საუკუნის მიწურულით, „აფხაზთა“ სამეფოს ჩამოყალიბების პერიოდით ათარიღებს. მისი მოსაზრებით, ტაძარი აგებულია მოწვეული ხელოსნის მიერ. რაც შეეხება ძეგლის ხუროთმოძღვარს, ის ადგილობრივია, რადგან თუ ძეგლში ერთი მხრივ აშკარაა ბიზანტიური საფუძველი, მეორე მხრივ ჩანს, რომ ხუროთმოძღვარი სისხლხორცეულად არის ჩართული იმ შემოქმედებით პროცესებში, რომელიც გარდამავალი პერიოდის (VIII-IX სს.) საქართველოს ძეგლებს ახასიათებს. მ. ხოტელაშვილისა და ა. იაკობსონის აზრით, ტაძრის დათარიღებისათვის მნიშვნელოვანია მისი თანმხლები მასალა - კერამიკა, რომელიც V-VI საუკუნეებით თარიღდება.

აფხაზეთის მოსახლეობის შემადგენლობა



აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული ძეგლები

ბედიის მონასტერი

ბედიის მონასტერი აფხაზეთში, ოჩამჩირის მუნიციპალიტეტში, სოფელ ბედიაში მდებარეობს. აფხაზეთის ტერიტორია დღესდღეობით ოკუპირებულია რუსეთის მიერ. “დადიანთა ქრონიკის” მიხედვით, დღევანდელი ტაძრის ადგილას, ბაგრატ III-ს X საუკუნის მიწურულს, 999 წელს, ეკლესია აუშენებია: “წელსა შჟთ (999წ) ბაგრატ, ძემან გურგენ მეფისამან კუროპალატმან ბედია აღაშენა”. აქვე არიან დაკრძალული გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე ბაგრატ III და დედამისი - დედოფალი გურანდუხტი. ბეგრატ III-ის აგებულ ტაძარს ჩვენამდე არ მოუღწევია. 1968 წელს ლ. ხიმშიაშვილმა სარესტავრაციო სამუშაოების დროს ამჟამინდელი ეკლესიის ქვეშ მასზე დიდი ნაგებობის, ბაგრატ III-ის დროინდელი ტაძრის საძირკვლისა და იატაკის ნაშთი აღმოაჩინა. ჩვენამდე მოღწეული ტაძარი ძველ ნაშთებზეა დაშენებული XIII საუკუნის მეორე ნახევარში და მის მორთულობაში გამოყენებულია თავდაპირველი ტაძრის რელიეფები. ბედიის მონასტერი გამორჩეული ყოფილა სილამაზითა და სიმდიდრით. ბედიის ტაძრის განძიდან შემორჩენილია ლითონზე ჭედურობის შესანიშნავი ნიმუში, ცნობილი ოქროს ბარძიმი, რომელიც საქართველოს ხელოვნების მუზეუმშია დაცული. აღსანიშნავია ბედიის ტაძრის წარწერები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ინფორმაციული თვალსაზრისით და ქვეყნის პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების შესახებ გვაწვდიან ცნობებს. 2000-იან წლებში აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებამ ტაძარს რესტავრაცია ჩაუტარა, რის შედეგადაც დაირღვა ტაძრის პირვანდელი სახე, გადაღებეს მონასტრის კედლები და ფრესკები, მათ შორის ბაგრატ III-ის უნიკალური ფრესკა.

აბაათას ეკლესია

აბაათას ეკლესია აფხაზეთში, გაგრის მუნიციპალიტეტში, ძველი გაგრის მიდამოებში მდებარეობს, აბაათას სახელით ცნობილი ციხის ტერიტორიაზე. იგი VI საუკუნით თარიღდება და მრავალჯერაა შეკეთებული. ტაძარი სამეკლესიიან ბაზილიკას წარმოადგენს. მთავარი ეკლესია, გვერდითა ეკლესიებთან შედარებით, მაღალი და განიერია. სამივე ეკლესია აღმოსავლეთით აფსიდით სრულდება. მთავარი ნავი გვერდითებს კარით უკავშირდება. ძირითადი დარბაზი ცილინდრული კამარითაა გადახურული, რომელიც ნალისებრ საბჯენ თაღს ეყრდნობა. შიდა სივრცე გაშლილი, დიდი და ნათელია, იგი ერთი აღმოსავლეთის, ორი დასავლეთის და სამი სამხრეთის სარკმლით ნათდება. სარკმლები თაღოვანია და შიგნიდან გარეთ მკვეთრად ვიწროვდება. სამხრეთის შუა სარკმლის თაღს ნალისებრი მოხაზულობა აქვს. სამივე ეკლესიას დამოუკიდებელი შესასვლელი აქვს, მთავარ და ჩრდილოეთის ეკლესიას - დასავლეთიდან, სამხრეთის ეკლესიას კი - სამხრეთ


ARKHANGELSKAYA CHURCHES.RU

ბაბუშერას კოშკი

ბაბუშერას კოშკი აფხაზეთში, გულრიფშის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაბუშერაში მდებარეობს. აფხაზეთის ტერიტორია დღესდღეობით ოკუპირებულია რუსეთის მიერ. იგი XVI-XVIII საუკუნეებით თარიღდება. ძეგლმა ჩვენამდე ძალიან დაზიანებული სახით მოაღწია, კედლები მხოლოდ სამი მეტრის სიმაღლეზეა შემორჩენილი. კოშკი გეგმაში წრიული მოხაზულობისაა. ნაგებობის დიდი ნაწილი მიწაშია ჩაფლული და გაწმენდას საჭიროებს. კედლების შემორჩენილ ნაწილზე ჩანს სათოფურები და თიხის მილები, სართულშუა გადახურვა ჩაქცეულია. კოშკის შიდა დიამეტრი 4 მეტრს აღწევს, კედლების სისქე კი 1.5 მეტრია. ბაბუშერას კოშკი ნაგებია რიყის ქვით კირის დუღაბზე.

აფხაზეთში არსებული

კულტურული ძეგლები

ილორის წმინდა გიორგის ეკლესია

ილორის წმინდა გიორგის ეკლესია — XI საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, რომელიც აგებულია სოფ. ილორის (ოჩამჩირის მუნიციპალიტეტი) შუაგულში, შუასაუკუნეების საქართველოს უმნიშვნელოვანეს სალოცავს წარმოადგენდა. პროპორციათა მოხდენილობითა და შესრულების ტექნიკური დონით იგი ექცევა ნაგებობათა იმ წრეში, რომელშიც ჩანს შუა საუკუნეების საქართველოს წამყვანი რეგიონების მხატვრული მისწრაფებანი. 2006 წლის 7 ნოემბერს, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების თანახმად მიენიჭა ეროვნული მნიშვნელობის კულტურის უძრავი ძეგლის კატეგორია.

ილორის ეკლესია აფსიდით დასრულებული ერთნავიანი ნაგებობაა, რომელსაც ჩრდილოეთიდან, სამხრეთიდან და დასავლეთიდან სხვადასხვა ხანის მინაშენები აქვს. აღმოსავლეთ ფასადზე შემონახულია ძველი ქართული წარწერებიანი 5 ქვა, რომლებიც ასევე XI საუკუნის I მეოთხედით თარიღდება. XVII საუკუნეში ილორის ეკლესია ლევან II დადიანმა შეაკეთა. 1730 წელს ოდიშის სამთავროში შემოჭრილმა თურქთა ლაშქარმა გადაწვა. მაშინ განადგურდა ტაძრის მოხატულობაც), თუმცა მალევე აღადგინეს ოდიშის მთავრებმა. იმერეთის მეფეებმა ალექსანდრე V-მ (1720-1752 წწ.), სოლომონ I-მა (1752-1784 წწ.), დავით II-მ (1784-1789 წწ.) და სოლომონ II-მ (1789-1810 წწ) მას ყმები და მამულები შესწირეს. ძეგლი საფუძვლიანად შეაკეთეს XIX საუკუნის 40-იან წლებში.

სიძველეები

1868 წელს ძეგლი მოინახულა და აღწერა დიმიტრი ბაქრაძემ. 1888 წელს აფხაზეთში ექსპედიციით იმყოფებოდა ა. მ. პავლინოვი. ექსპედიციის ფარგლებში დათვალიერებული იყო ილორის ტაძარიც და მასში არსებული სიწმინდეებიც[4]. აღსანიშნავია, რომ ექსპედიციის დროს გადაღებული ფოტოები დაცულია რუსული არქიტექტურული ფოტოგრაფიის პიონერის ივანე ბარშჩევსკის კოლექციაში. ექსპედიციის დროს აღწერილი იყო ილორის ეკლესიაში დაცული ორი ბარძიმი და მტრედის გამოსახულების საეკლესიო ნივთი, ასევე წმინდა გიორგის ორი, წმინდა ონოფრეს ორი, მაცხოვრისა და წინდა გიორგის სასწაულების ჭედური ხატები, ასევე წმინდა გიორგის ჭედური კარედი, რომელიც ილორის წმინდა გიორგის ეკლესიის უმთავრეს სარწმუნოებრივ რელიკვიას წარმოადგენდა.



2008 წლამდე

თამარის ხიდი

აფხაზეთი



ანდრეოს ხიდი, ან. ფასანაურ - ანდრეოს ხიდი ფასანაურ-ბაზალეთის ავტომაგისტრალზე, ფასანაურიდან 6 კილომეტრის დაშორებით, ფასანაურ-ბაზალეთის ავტომაგისტრალზე, ფასანაურიდან 3 კილომეტრის დაშორებით, ფასანაურ-ბაზალეთის ავტომაგისტრალზე.

ხიდის ანალოგიური ანა, ნაგებია ადგილობრივი ბაზალტისგან. ხიდი აშენებულია XVII-XVIII საუკუნეებში. ავტ. ეკიზეა ანა (1253), ბოლო ავტორი ფიქრობს, ეკიზეა ანა (ეკიზეა ანა) ეკიზეა ანა ეკიზეა ანა ეკიზეა ანა

მადლობა ყურადღებისთვის!